საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცი წლის თვრამერ მარტს, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 47-ში მომმართა: **კახა ღიბრაძემ.** მან განაცხადა, რომ არის **შპს „ნნ ინვესტი“-ს (ს/კ 405190092) დირექტორი,** თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B17018532, 13/02/2017 16:22:43,** რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **თამაზი მურვანიძეს** (დაბ.13.07.1956წ. ლანჩხუთში, პ/ნ 01015021376, პ/მ 18IA98269, მისამართი: თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 17). მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **კახა ღიბრაძემ** (დაბადებული 06.06.1973წ. თბილისში, პ/ნ 01002016416, პ/მ 16IB02805, მისამართი: თბილისი მ.ერისთავის ქ. N 3) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე **მიმნდობის** ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **მიმნდობმა** წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მიმნდობმა პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

შპს „ნნ ინვესტი“-ს (ს/კ 405190092) დირექტორმა კახა ღიბრაძემ, წინამდებარე მინდობილობით **თამაზი მურვანიძეს** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **იგი** უფლებამოსილია იყოს საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის საკრებულოში, მიწის ლეგალიზაციის კომისიაში, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, ცვლილებების შეტანა, სარეგისტრაციო მონაცემებში შერწმა/გაერთიანება. ამონაწერის მისაღებად დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა, ფართების რეგისტრაციისთვის, პროექტის შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად. **თამაზი მურვანიძე** უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი ქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილებების ფარგლებში, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.
2. მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის 19 მარტის ჩათვლით.**
3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსი ეკატერინე მარშანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს. იმ ეგზემპლარს რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის ერთი დოკუმენტი:

ა) **ამონაწერის სამეწარმეო რეესტრიდან.**

გადახდილია საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების **31.7-ე მუხლის თანახმად 100 ლარი + საგადასახადო კოდექსის 169 მუხლის თანახმად დღგ 1.80 ლარი 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 13.80 ლარი.**

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

33755382989120

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200278593

რეგისტრაციის თარიღი

18.03.2020 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18